

ქასა კალაძე: ვითაბაუო თუ არა?

საქართველოს ნაკრებმა შესაძლოა მილანის მცველი დაკარგოს

იტალიის „მილანის“ ქართველი მცველის კახა კალაძის ეროვნულ გუნდში თამაში საეჭვოა.

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა შესაძლოა, ქვეყნის ნაკრები თუ არა...

ეს გუშინ თავად კალაძემ გვითხრა, როცა იტალიაში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ... თუმცა ჯერ ის გავიხსენოთ, რას ამბობდა ძმაგატა-ცებული კახა მაშინ, როცა სპორტულმა ჟურნალისტებმა ქვეყნის საუ-კეთესო ფეხბურთელად დავასახელებთ.

...ჰყავს კი საქართველოს ნაკრები? საქართველოს საფეხბურთო ნაკრები არ ჰყავს...

...რატომღაც მგონია, რომ საქართველოში ფეხბურთი აღარასდროს იქნება, იმიტომ, რომ ქართველებს სხვანაირი მენტალიტეტი გვაქვს...

აი, ეს უთხრა „სარბიელს“ კახა კალაძემ 12 ივნისს და ამ სიტყვების ლოგიკური გაგრძელებაა, ალბათ, ის არის, რაც გუშინ განვვიცხადე...

— ვფიქრობ და ჯერ ვერ გადამიწყვეტია, ვითამაში თუ არა საქართველოს ნაკრებში...

— ფიქრობ და ვერ გადაგიწყვეტია როგორ გავიგოთ? — როგორც ეს უნდა. დარწმუნებული არ ვარ, ვითამაშებ თუ არა საქართველოს ნაკრებში.

— როდის გადაწყვეტ? — ცოტა ხანში.

— კეთილი უკრაინული პასპორტის აღებას კიდევ ეშურები? — უკრაინული პასპორტი ჩემთვის დიდი პრობლემა არ არის, თუმცა ამაზე კვლავაც ვფიქრობ და არც ისაა გამორიცხული, უკრაინული პასპორტით ვისარგებლო.



საქართველოს ნაკრები: პო თუ არა? კახა კალაძე თავს ეკითხება

იხილეთ მეორე გვერდი

გენდინეტა ყველაზე კვირი უსპანელი ბასკია



გაისკა მენდიეტას ბირველი ძღვენი რომში

იციოთ, ვინ არის ყველაზე ძვირი ესპანელი?

ვინ და, „ვალენსიას“ კაპიტანყოფილი გაისკა მენდიეტა.

ყოფილი კი იმიტომ, რომ გუშინ მენდიეტა რომში ჩავიდა,

„ფიუმინინოს“ აეროპორტში „ლაციოს“ წარმომადგენლები და ქომაგები დახვდნენ, მერე დიდის

ამბიო ფორმელოში, კლუბის ბაზაზე ნაიყვანეს, იქაურმა

ექიმებმა თხემით-ტერფამდე გასინჯეს, ჯანმრთელიაო,

დაასვენეს და საქმეც გაიჩარხა

— გაისკა მენდიეტა ლაციოელი გახდა.

ყველაზე ძვირი ესპანელი კი, იმიტომ, რომ რომაულმა კლუბმა

მენდიეტას სანაცვლოდ ესპანელებს 41 მილიონი

დოლარი ჩაუთვალა, ამდენი ფული კი ესპანელ

ფეხბურთელში ჯერ არავის გადაუხდია.

ამ გარიგებით კლუბებმა ხომ იხვირეს და არც თავად

მენდიეტა უნდა იყოს უკმაყოფილო: 3,6-მილიონ

დოლარიანი წლიური გასამრჯელოთი ბევრი რომ ვერ

დაიკვებნის, მაძღარ ევროპაშიც დაგვიდასტურებენ.

ისე, თავში დასმულმა კითხვამ, შესაძლოა, ტერორისტული

ორგანიზაცია ეტას წყრომა დაგვატეხოს თავს. აქაოდა,

სადაური ესპანელი მენდიეტაა, ეგ ის არ არის, 1974 წლის 27

მარტს, ბასკეთში, ბილბაოში რომ მოვევლინა ქვეყანასო.

მართალიც იქნებოდა, ასე რომ, ყველაზე ძვირი ესპანელი ბასკია.

პარადოქსი, აბსურდი, უმაღურობა

საქართველოს ღირსების აღფაგენი მორაგბეები ღირსების ორდენ-მედელების ღირსად არ ჩათვალეს

უცნაური ქვეყანა საქართველო. ვისღა უკვირს აქ პარადოქსი, აბსურდი და უმაღურობა. ანკი რაგომ უნდა გაუკვირდეს, როცა ეს ყველაფერი და სხვა ათასგვარი სიმახინჯე აქაურობას ლამის ცხოვრების წესად ექცა.

სამიოდ თვის წინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასი მოიპოვა. ეს იყო გამარჯვება, რომელსაც არავინ ულოდა და არავინ ითხოვდა. ვერავის წარმოედგინა, თუ ქართველებს სადმე რამის მოგება შეუძლიათ. მაგრამ ამ საყოველთაო ხელმოცარვის და მარცხიანობის პირობებში გამოჩნდა ხალხი, ამ შემთხვევაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები და ყველას დაანახა, რომ მთლად დაქვეულები და გაუბედურებულნი არ ვყოფილვართ, მოგებაც შეგვიძლია და ჯარგა ხნის წინ დაჯარგული ღირსების აღფაგენაც.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქართველმა მორაგბეებმა ევროპის ერთა თასი გაჭირვების, უფულობის, უყრადღებობის, სტალიონებთან გაძევების და სხვა მრავალი უბედურების პირობებში მოიპოვეს.

ვინ იფიქრებდა, რომ მორაგბეებს და მათ მწვრთნელებს მორალურ ნახალისებას მაინც დაამადლიდნენ. აკი გადაწყვიტა კიდევ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და მისმა თავმჯდომარე ირაკლი მექმარიაშვილმა მათი სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენა და ეს საკითხი თავად ქვეყნის პრეზიდენტს, ბაკონ ედუარდ შუვარდნაძეს შეუთანხმა. ღირსების ორდენზე წარადგინეს ნაკრების ფრანგი მწვრთნელები კლოდ სორელი და ტიერი რუდილი, მორაგბეები – ლევან ცხაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ვანო ნადირაძე და ვიქტორ დიდუბულიძე. ნაკრების დანარჩენი წევრები – ღირსების მედლებზე.

გუშინ კი ქართველ მორაგბეებს საქართველოს სახელმწიფო ჯანცელარიაში ჯილდოებზე უარი სტკიცეს. მიზეზი არ განიტყვის? ევროპის ერთა თასის მოპოვება დიდი ვერაფერი მიღწევია, თქვენი საქმე კიდევ განსახილველია და ამ ტიტულით სამთავრობო ჯილდოების ღირსები არ ხართ, თანაც დოკუმენტაცია არასწორად შევიდგენიათო.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

REUTERS რაზიდან



სარბინილის არქივიდან

ვებსაიტური ისტორია

კახა კალაძის მიღწევა ახალი გუნდი და ახალი აბიჯები დაახვედრა

ახალი მწვრთნელი, ახალი და სახელმწიფო თანაგუნდელები, მიზანი კი უწინდელი — სკულეტო. აი ასეთი ამბიციები დახვდა კახა კალაძეს მილანში. ხასიათი კი ისევ წამხდარი აქვს — მისი გატაცებული მისი თამაზზე ახალი და კარგი ჯერაც არაფერი იხმის, ამას მძიმე საფიქრალ-საფიქრალს დაერთო, ითამაშოს თუ არა საქართველოს ნაკრებში.

და მიუხედავად ამისა, კახა კალაძე ახალ „მილანზე“, პარტიკულად, ახალგაზნად საკუთარ ვებ-გვერდზე გვესაუბრება.

— ორშაბათს შევიკრიბეთ ბაზაზე და მას შემდეგ აქ ვართ — გვითხრა კახამ — ორჯერადი ვარჯიშები, საკმაოდ დიდი ფიზიკური დატვირთვები. ბურთს არც ვეკარებთ. ცალკე გვყავს ფიზიომზადების მწვრთნელი და ჯერ-ჯერობით მისი ხელმძღვანელობით ვვარჯიშობთ. ფატიჰ თერიმი ჯერ მხოლოდ ვეიცქერის.

— ახალ მწვრთნელს პირადად არ შეხვედრია?

— პირადად არა. არც მანამდე მქონია მასთან ურთიერთობა. ორშაბათს გაგვეცნო, საათნახევარი გველაპარაკა. გულთბილი, მეგობრული კაცი ჩანს, დანარჩენი კი ნელ-ნელა გამოჩნდება. სულ ორი დღეა, რაც მზადება დაიწყო და თერიმიზე, როგორც მწვრთნელზე, ბევრს ვერაფერს ვეტყვი. ისე კი, მისდროინდელ „გალათასარიასაც“ თუ გავიხსენებთ და „ფიორენტინასაც“, რომელსაც სამი-ოთხი თვე წვრთნიდა, საკმაოდ ძლიერი სპეციალისტი უნდა იყოს. თანაც „მილანში“ ისეთ მწვრთნელს არ დანიშნავენ, მისი ცოდნა თუ აუცილებლობა ერთი დღი საქმე უკვე გააკეთა, როცა „მილანის“ ხელმძღვანელობისგან რუი კომტას შექმნა მოითხოვა.

— „მილანისთვის“ ინმაგიც დიდი ძალა უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა, ძლიერი ფეხბურთელია. ის, კონტრა, ხავი მორენო და რუი კომტა „მილანისთვის“ მართლაც საჭირო ფეხბურთელები არიან.

— ამის შემდეგ სკულეტოზე ფიქრიც რეალურია.

— ვნახოთ, ყველაფერი ხომ ჩვენზე დამოკიდებულია. ახალ სეზონში „მილანი“ ძალიან მაგარი გუნდი იქნება. რედინოც დაგვემატება და აქაც იტალიაში, ბევრი წინასწარმეტყველებს ჩვენს ჩემპიონობას.

— რედინოს ვარჯიში არ განუახლებია?

— არა, ის ალბათ, თვენახევრის შემდეგ შემოგვიერთდება. ჯერ ისევ მკურნალობს.

— რუი კომტასა და ინმაგის ახლოს გაცნობა უკვე მოასწარა?

— ერთმანეთთან ჯერ მხოლოდ საღამოთ ვართ, ახლო ურთიერთობას კი დრო მოიტანს.

— შევჩვენოსა და ინმაგიზე ბევრს ლაპარაკობენ. მათ ხავი მორენოც დაგვუმატოთ, ბირაჟი და ზოსე მარი, გამოლის, „მილანის“ თავდასხმელებს შორის ძალიან დიდი კონკურენცია იქნება. როგორ გგონია, ვის ამჯობინებს თერიმი?

— ეს მისი გადასაწყვეტია.

— შენი აზრით?

— ერთი ვიცი — დარწმუნებული ვარ, შევჩენოს ძირითადად ადგილი გარანტირებული აქვს. ანდრეის მილანში აღმერთებენ და მისი ძალა ფატიჰ თერიმიც კარგად უნდა იცოდეს. მისი მეწყვილე კი, ალბათ, ინმაგი იქნება. თუმცა ვნახოთ, მოსამზადებლად თვენახევარი გვაქვს, რამდენიმე ამხანაგური მატჩია დაგვემთავროს და გამოჩნდება, შევჩენოს ვინ უკეთ შეეწყობა.

— იტალიური ისწავლე?

— ვსწავლობ ნელ-ნელა, ენა უკვე გავიტეხე.

— შენი ვებ-გვერდი ისეთია, როგორც ჩაფიქრებული გქონდა?

— კმაყოფილი ვარ. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ჯერ კიდევ კივიის „დინამოში“ ერთი წლის თამაშის შემდეგ მსურდა საკუთარი ვებ-გვერდის გახსნა, მაგრამ რაღაც პრობლემები შემექმნა, მერე „მილანში“ გადმოვედი და ამ საქმეს თავი ვერ მოვაბი, აფორიაქებული ვიყავი.

— გვერდი საომარად ისეთივე დარჩება, როგორც ახლა?

— არა, რას ამბობ, ეს მხოლოდ დასაწყისია. კიდევ ბევრი ინფორმაცია და ახალი ამბავი მოთავსდება გვერდში და რუსულის გარდა მალე ინგლისური, იტალიური და, რა თქმა უნდა, ქართული ტექსტებიც იქნება. ისე კი, მგონი, ჩემს ვებ-გვერდს ახლაც არა უშავს.

— ბოლოს კი ქომაგებს კახა კალაძის ვებ-გვერდის მისამართსაც შევახსენებთ:

www.kaladze.com

კობა ინასარიძე

მთაბარ რეალში

მისიელ ყაველაშვილი

ეპიზოდები: ზაზა ჯანაშია და...

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველ ლეგიონერთა რაოდენობა რუსეთში საშუალოდ მილიონობისას.

„ჩერნომორეცს“ შეუერთდა ბადრი სპანდერაშვილი, სარატოვის „სოკოლში“ პაატა ჯინჭარაძე. ახალგაზრდა ბათუმელი კახა მჭავანაძე და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ლიდერი დავით ქოქიაშვილი კი ჩემპიონმა „სპარტაკმა“ შეიყვანა განაცხადში. „სპარტაკიდან“ „როსტსელმაში“ გადავიდა ოთარ ხიზანიშვილი, თუმც მისი დებიუტი როსტოვულ კლუბში ერთობ არასახარბიელო გამოცდა. „ხენიტთან“ საშინაო მატჩის ბოლოს, როცა ანგარიში 1:1 იყო, ხიზანიშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მიუხედავად ამისა, ოთარი „როსტსელმის“ მომდევნო მატჩშიც გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში, თუმც „სოკოლთან“ შეხვედრის 25-ე წუთზე შეცვალეს.

ვერა და ვერ შევიდა ფორმაში ზაზა ჯანაშია. როგორც ჩანს, მისმა ეპიზოდურმა გაბრწყინებამ „ლოკომოტივის“ თავაკაცი იური სიომინიც დააღალა და ზედინედ მთორე მატჩია, ქართველს მხოლოდ შეცვლაზე ათამაშეს.

მე-16 ტურში „ტორპედო ხილთან“ სტუმრად მოგვეულ შეხვედრაში თავდასხმაში მამინოვმა გამოიჩინა თავი (მან ორი გოლი გაიტანა). ამიტომაც გუშინწინდელ შეხვედრაში „სატურთან“ სიომინს ბევრიც არ უფიქრია, ისე შეუწყვილა ეს ფეხბურთელი ბუნჩიკინს. ჯანაშია კი მას შემდეგ ჩართო თამაშში, როცა მის გუნდს ერთობ გაუჭირდა თავდასხმაში, თუმც სიომინი ამით ბევრსაც ვერაფერს გამოიჩინა. ზაზას თითქმის არაფრით გამოუჩენია თავი, „ლოკომოტივი“ კი მარცხისგან იმავე მამინოვმა იხსნა.

რკინიგზელთა რიგებში კვლავ არ უთამაშია ვლადიმერ კაკაშვილს. სამაგიეროდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში ერთობ ყოჩაღობს და კაპიტნობაც ანდეს.

„ჩერნომორეცთან“ მატჩში „სპარტაკის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა კახა მჭავანაძეს, ცსკა-სთან პრინციპულ შეხვედრაში კი რაღაც გასაკვირია, რომ ახალგაზრდა ქართველი მხოლოდ სათადარიგოთა შორის ჯდომით დაკმაყოფილდა. თავის ჯერს ჯერაც ელის დავით ქოქიაშვილი, ისევე როგორც სოკოლელი პაატა ჯინჭარაძე.

მძლავრად დაიწყო შევიცარის ჩემპიონატი მიხეილ ყაველაშვილის და გონა ჯამარაულის „ციურიხში“. ეს გუნდი დებიუტანტ „ინანგ ბოისის“ მსგავსად ჯერაც დაუმარცხებელია და მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება ლიდერ „სიონს“. ერთიგაა, ქართველების გუნდს მეტოქეზე თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და გალიდერების ჩინებული შანსი აქვს. „ციურიხის“ ფანობა აღფრთოვანებულია ყაველაშვილით. მიშამ სამ თამაშში უკვე ოთხჯერ გამოიჩინა თავი. ყაველაშვილი მართლაც ჩინებულ ფორმაშია. ბოლო ტურში „ლოზანასთან“ სწორედ მან დააწინაურა თავისიანები, როდესაც ეფექტური, ძლიერი დარტყმით მასპინძელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ყაველაშვილი მერეც აქტიური იყო, ერთხელ ჯამარაულის გამჭოლ პასს კარის ხაზთან წამით ვერ მიუსწრო, მატჩის ბოლოს კი მცირედ აუცდა შორეული დარტყმა. შევიცარიელი ჟურნალისტების თქმით, ბევრს მოძრაობდა გონა ჯამარაულიც. მისი მცდელობით „ციურიხის“ ნახევარდაცვაში საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი, ზედინედ შესაძებ გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მეკარის შეცდომამ აქამდე უქულო „ლოზანას“ ფრე მოუტანა.



მიხეილ ყაველაშვილი

სახელი გვარი	გუნდი	სად მეტოქე	წი	შენიშვნა	თ	გ	ა
შპიციარია							
უმაღლესი დივიზიონი							
გონა ჯამარაული	ციურიხი	ს ლოზანა 1:1	90		2	0	2
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	ს ლოზანა 1:1	90	1 გოლი	3	4	2
ლევან ხომერიკი	არაუ	ს სიონი 1:0	0	ტრავმა	0	0	4
აპსტრია							
უმაღლესი ლიგა							
დავით მუჯირი	შტურმი	შ ზალცბურგი 1:0	0	სათადარიგო	0	0	6
რუსეთი							
უმაღლესი ლიგა							
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	ს ტორპედო 4:0	24	შეცვლაზე ითამაშა	15	2	2
	ლოკომოტივი	შ სატური 1:1	40	შეცვლაზე ითამაშა	16	2	3
ვლადიმერ კაკაშვილი	ლოკომოტივი	ს ტორპედო 4:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
	ლოკომოტივი	შ სატური 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ოთარ ხიზანიშვილი	როსტსელმაში	შ ზენიტი 1:2	90	1 გოლი, ს.კ.	1	0	10
	როსტსელმაში	ს სოკოლი 1:1	25	შეცვალეს	2	0	9
ბადრი სპანდერაშვილი	ჩერნომორეცი	ს სპარტაკი 0:5	0	განაცხადში ვერ მოხვდა	0	0	16
	ჩერნომორეცი	შ როტორი 2:3	21	შეცვლაზე ითამაშა	1	0	16
	სპარტაკი	შ ჩერნომორეცი 5:0	14	შეცვლაზე ითამაშა	1	0	1
კახა მჭავანაძე	სპარტაკი	ს ცსკა 1:1	0	სათადარიგო	1	0	2
	სპარტაკი	შ ჩერნომორეცი 5:0	0	განაცხადში ვერ მოხვდა	0	0	1
დავით ქოქიაშვილი	სპარტაკი	ს ცსკა 1:1	0	განაცხადში ვერ მოხვდა	0	0	2
პაატა ჯინჭარაძე	სოკოლი	შ როსტსელმაში 1:1	0	სათადარიგო	0	0	6

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სარბიელი

საორბული ლაბარია

პროკოპო

პოლონეთი. 1-ლი ტური
21 ივლისი

19.00	006	რუხი-სტომილი	1,5	3,4	6,5
20.00	001	ვიძევი-ზაგლებე	2,1	3,0	3,3
20.00	002	პოლონია-გურნიკი	1,4	3,8	7,0
20.00	003	ოდრა-კატოვიცე	1,95	2,9	3,6
20.00	004	ოსტროვეცი-ვისლა	4,2	3,1	1,75
20.00	005	ამიცა-გროცლინი	1,6	3,2	5,6
20.00	007	შლიონსკი-ლეგია	3,0	2,9	2,3
20.00	008	რადომსკო-პოვონი	3,0	3,1	2,2

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-4 ტური
21 ივლისი

20.30	020	არაუ-სერვეტი	2,3	3,0	2,9
22.30	022	ქსამაქსი-სენტ გალენი	2,7	3,0	2,4
23.15	023	გრასჰოპერი-ლუცერნი	1,35	4,0	7,5

22 ივლისი

19.15	024	იანგ ბოზი-ციურიხი	2,3	3,0	2,9
-------	-----	-------------------	-----	-----	-----

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-3 ტური
21 ივლისი

20.30	025	კონკორდია-თუნი	2,5	3,0	2,5
20.30	026	ვალუცი-ბელინცონა	2,3	3,0	2,9
20.30	027	ვინტერთური-ბადენი	1,65	3,2	5,0
22.30	028	დელემონი-ვილი	2,3	3,0	2,9
22.30	029	ლოკარნო-კარუჟი	2,3	2,9	3,0
22.30	030	ივერდონი-კრინსი	1,8	3,2	3,8

დანია. 1-ლი ტური
21 ივლისი

18.00	031	კოპენჰაგენი-ვიბორგი	1,6	3,4	5,0
-------	-----	---------------------	-----	-----	-----

22 ივლისი

18.00	032	ესბიერგი-ოდენსე	2,3	3,1	2,8
18.00	033	სილკებორგი-აკადემისკი	1,65	3,3	4,2
18.00	034	ვაილდუ-ლიუნგბიუ	2,4	3,1	2,6
20.05	035	ბრიონდბიუ-ორჰუსი	1,4	2,8	7,0

23 ივლისი

22.00	036	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,95	3,2	3,4
-------	-----	---------------------	------	-----	-----

რუსეთი. მე-18 ტური
22 ივლისი

16.00	045	როსტსელმაში-ჩერნომორეცი	1,4	3,6	6,5
16.00	046	როტორი-სპარტაკი	4,2	3,1	1,75
16.00	047	კრილია-ალანია	1,45	3,5	6,0
16.00	048	დინამო-ანჟი	1,85	3,0	4,0
16.00	049	ფაკელი-ლოკომოტივი	3,6	3,1	1,9
16.00	050	სატურნი-ზენიტი	2,4	2,9	2,8
16.00	051	ტორპედო-ცსკა	2,5	3,0	2,5

23 ივლისი

16.00	052	ზილ-სოკოლი	2,5	3,0	2,5
-------	-----	------------	-----	-----	-----

შვედეთი. მე-14 ტური
21 ივლისი

19.00	053	ჰალმსტადი-იორებრო	1,65	3,3	4,7
-------	-----	-------------------	------	-----	-----

22 ივლისი

20.00	054	იურგორდენი-ელფსბორგი	1,9	3,1	3,5
20.00	055	ტრელებორგი-ჰეკენი	2,0	3,1	3,4

23 ივლისი

22.00	056	სუნდსვალი-მალმიო	2,7	3,0	2,4
22.00	057	ნორჩიოპინგი-გიოტებორგი	3,0	3,1	2,1

ნორვეგია. მე-15 ტური
22 ივლისი

21.00	058	ბრანი-ტრომსიო	1,4	3,8	7,0
21.00	059	ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი	1,4	4,0	6,5
21.00	060	ლინი-სოგნდალი	1,8	3,2	3,6
21.00	061	ოდ გრენლანდი-ბოდო გლიმტი	1,45	3,6	6,5
21.00	062	სტაბეკი-ბრინი	1,3	4,0	7,5
21.00	063	ვიკინგი-მოსი	1,4	3,6	6,5
23.05	064	მოდდე-რუსენბორგი	2,8	3,1	2,2

ფინეთი. 21-ე ტური
21 ივლისი

20.30	070	ტამპერე-ატლანტი			
22 ივლისი					
18.00	071	ინტერი-იოკერიტი	1,7	3,2	4,4
18.00	072	მიუპა-ჯაზი	1,3	4,4	8,0
20.30	073	როვანიემი-პიკი	3,3	3,0	2,1

გერმანია. ლიგის თასი
21 ივლისი

20.45	076	შალკე-ჰერტა	2,4	3,0	2,7
-------	-----	-------------	-----	-----	-----

ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. II მატჩები

18.30	511	მიუნხენი-ვალფაიკი	1,4	3,6	6,5
19.00	512	ასტონ ვილა-სლავენი	1,4	3,8	6,0
19.30	513	სინოტი-რენი	2,5	3,0	2,5
20.00	514	პოპედა-ბლშანი	2,1	3,1	3,2
20.00	515	აიკტრუა	2,4	3,1	2,6
21.00	516	დინამო (მინსკი)-ვოლფსბურგი	2,5	3,0	2,5
21.00	517	პსუტავრია	1,2	5,0	9,0
22.30	518	ტატაბანია-ბრეშა	3,0	3,1	2,2
22.30	519	ჰერენვენ-ბაზელი	1,7	3,3	4,2
22.30	520	ლოზანა-ცელიე	1,6	3,3	5,3
23.00	521	ნიუკასლი-ლოკერენი	1,2	5,0	9,0
23.00	522	გენტი-ვერდერი	2,4	3,2	2,5

კოპა მერკოსური
21 ივლისი

02.00	523	ვლამენგო-ნასიონალი			
-------	-----	--------------------	--	--	--

22 ივლისი

20.00	524	რივერ პლეტი-გრემიო			
-------	-----	--------------------	--	--	--

კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)
22 ივლისი

00.00	531	მეოთხედფინალი			
00.00	532	მეოთხედფინალი			

23 ივლისი

00.00	533	მეოთხედფინალი			
00.00	534	მეოთხედფინალი			

იუნორთა (18 წლ.) ევროპის ჩემპიონატი (ფინეთში)
21 ივლისი

17.30	535	ფინეთი-უკრაინა	2,5	3,0	2,5
20.00	536	ჩეხეთი-იუგოსლავია	2,2	3,1	3,0

22 ივლისი

20.30	537	პოლონეთი-ესპანეთი	4,7	3,3	1,65
20.30	538	ბელგია-დანია	2,7	3,2	2,3

23 ივლისი

20.00	539	ფინეთი-ჩეხეთი			
20.00	540	უკრაინა-იუგოსლავია			

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
20 ივლისი

18.00	541	ნამიბია-სენეგალი	4,7	3,5	1,4
20.00	542	ალჟირი-ეგვიპტე	3,6	3,2	1,6

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


ბათუმში

გაიხსნა ქროჩოს ახალი ბიურო
მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7

1 ავვისტოლან ქროჩო
ხუთშაბათობითაც იმუშავებს.
დასვენების დღე მხოლოდ
ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი,
პარასკევი, შაბათი, ჯვირა

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი სპორტული ლაბარია



აბეჭად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს საბუღალტრო, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმალელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა №27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა №113	
ქობულთი	ალმაშენებლის ქუჩა №106	
	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	

ბათაგაშაბის წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყენოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთაუდის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:1 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმორჩნდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთან სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
 - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
 - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
 - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
 - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
 - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი
- ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.
- თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).
- ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის

რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვას გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტარის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციის ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდეებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სტოპკომპის ბრან პრის

სტეისი დრაგილა მსოფლიოს გოგოა

„სტოპკომპის ბრან პრის“ 800-მეტრიან გარბენზე, რომელიც სხვა სახეობების ცივილიზაციისა და ნესტიან სალა-

ძალიან უნდოდ შედეგებს თავიანთი ახალგაზრდა ტალანტის, სამსტომელ კრისტინა ოლსონის გამარჯვება, მაგრამ სურვილი ერთია და ჯონათან ედვარდსის მორევა — მეორე. მესამე ცდაზე ოლსონი 17,28 მეტრზე გადახტა, რაზეც ედვარდსმა საჩქაროდ უპასუხა 17,40-ით და შეედი დაწინარდა. „ოლსონი დღეს მშვენივრად ირეკებოდა — გული გაუკეთა ედვარდსმა ახალგაზრდას — მისი ნახტომები ხარისხით სჯობდნენ კიდევ კრეტის მხისქვეშ ადრე ნაჩვენებ 17,49-ს. მე რაც შეეძლება, ედმონტონის წინ ჩავიფიქრე, რომ 17 მეტრზე დაბლა არც ერთხელ ჩამოვიდე და გვემას ვასრულებ“.

დავით გულუა

Table with 2 columns: Weight and Results. Includes categories like 800g, 1500g, 3000g, 110g, 200g, 1000g, 400g, 400g, 400g, 400g.

აფრიკელები უხასიათოდ იყვნენ ორი გრძელი დისკანტის ფინიშზეც. ორივე გან, 1500 და 5000 მეტრებზე, მძლავრი კენიური ჯგუფები თითო ესპანელმა დაანგრა. ხოსე ანტონიო რედოლამ ფინიშთან ბეწვზე მოასწრო სახელოვან სტაიერებს, ბერნარდ ლაგატსა და პოლ ბიტოკს, ხოლო ალბერტო გარსიას უპირატესობა უფრო შესაძინევი იყო. გარსია მხოლოდ იმან დააღონა, რომ 13 წუთში ვერ ჩაეჭია, რაშიც დამატებით 2500 ევროს გადაუხდინდნენ. კენიელებს კი საამოდ მხოლოდ სტიპენდიის და ქალთა 5000 მეტრი დარჩათ, სადაც ტრადიციულად პირველები იყვნენ. სტიპენდიისში ამჯერად უილსონ ბოიტ კიპეტერმა გაიმარჯვა, ხოლო ქალებში 34 წლის ელიტ მასაიმ. იგი ბოლო ტურნირებზე ფრიად ახალგაზრდულად დარბის, მაგრამ კენიის ნაკრებში მაინც არ ჩარაცხეს და ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ იქნება. ნაკრების წევრი როუზ ჩერიოტი მასაის უკვე მერამდენედ ჩამორჩა.

მრავალი თარგი წაიქცა 110 მეტრზე ვაჟთა ბრენა-ხტუნვისას. მსოფლიოს პირველი მითარჯებენე აღენ ჯონსონი ამერიკელსავე ტერენს ტრამელს ჩამორჩა, ხოლო 100 მეტრზე სპრინტი ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა მოიგო მორის გრინისა და ტიმ მონტგომერის არყოფნაში. როგორც იქნა, ბოლდონმა მიხანს მიადგინა. ხანდახან ფრანკა „როგორც იქნა“ თქმის სტივის დრაგილაზეც, ოღონდ შედეგდნარად. „როგორც იქნა, რაღაც წაგო“, თუმცა სტოპკომპისთან ამას კავშირი არა აქვს. შედეგით სატახტო ქალაქში დრაგილამ იოლად გატეხა მთავარი კონკურენტი, ევროპის რუსი რეკორდსმენი, სვეტლანა ფეოფანოვა და 4,72 მეტრით გაიმარჯვა. შემდეგ იგი სამჯერ შეეჭიდა მსოფლიოს სარეკორდო 4,82-ს, მაგრამ დამარცხდა.

„კისერი და მარცხენა ბარძაყი მტკიავა — უთხრა მომდომარმა დრაგილამ ჟურნალისტებს — ტრამპები ნიკაში მივიდე, ამიტომ დღეს ჩემი ტექნიკა სრულად ვერ ვუჭყენე. თუმცა მთავარი გამარჯვებაა, რადგან დამტკიცდა, რომ ევროპაშიც კარგად ვხტები და არ ვარ მარტო ამერიკის გოგო, როგორც ამას მაგანი ამტკიცებს.“



სტივისი დრაგილას გადამწყვეტი ნახტომი

აჭარის ტური

ბუშინ ქობულეთში დაიწყო აჭარის ველოსპორტის ფედერაციის პრიზის გათამაშება საგზატრავილო ველობოლაში. ოთხდღიანი ტურნირი საერთაშორისოა. თბილისელ, ქუთაისელ და აჭარელ სპორტსმენებთან ერთად მასში მონაწილეობენ თურქეთის ქალაქ იზმითის და სომხეთის დედაქალაქ ერევნის მებოლები. ველობოლას ბათუმში მდებარე მალაზია „ჩემპიონი“ სპონსორობს. გუმინ სოფელ კვირიკეში პროლოგი გაიმართა. იგი ქართველ მებოლთა გამარჯვებით დასრულდა. პირველ ადგილზე თენგიზ

თაბერიძე გავიდა, მეორეზე — ვაჟა ვამაყაძე, მესამეზე — ბესო მიქელაძე. სამივე სპორტსმენი ქობულეთელია. დღეს წყალწმინდიან ფოთამდე 15-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა გაიმართება. ხვალ ქობულეთი-ბათუმი-ქობულეთის მარშრუტზე 90-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა მოეწყობა. შეჯიბრება კი კვირას, ბათუმში კრიტერიუმით დასრულდება. ველომბოლები 1400-მეტრიან წრეს 20-ჯერ შემოუვლიან.

იუზა კაციტაძე

წყალბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი საყვლოსო სახეობაზე

წყალბურთი. გაფები



იუგოსლავია — სლოვაკეთი. პეტარ ტრბოვიჩის წინ სლოვაკეთა მეტარე შტეფან გერგელი აღიმართა

REUTERS ფოტოკადა

- 19 ივლისი
A ჯგუფი
იუგოსლავია 7:6 სლოვაკეთი
იტალია 6:1 ბრაზილია
B ჯგუფი
უნგრეთი 7:3 მახაჩანთი
ბერმანია 9:8 საბარკანთი
C ჯგუფი
რუსეთი 10:9 აშშ
პოლანდია 10:4 კანადა
D ჯგუფი
სლოვაკეთი 8:2 იაპონია
იტალია 8:1 ავსტრალია

A და B ჯგუფებიდან პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები ქრან ახალ, ექვსურად E ჯგუფს. C და D ჯგუფებშიც პირველი, მეორე და მესამე ადგილისა და გუნდები ქრან ახალ, ექვსურად F ჯგუფს. ყველა ჯგუფის შეხვედრები წრიული სისტემით გაიმართება. E და F ჯგუფებში მეხუთე, მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები 9-12 ადგილებისთვის იბრძობდნენ. იმავე ჯგუფებში მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები კი 5-8 ადგილებისთვის, ხოლო პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები ჯვარდინი პრინციპით ერთმანეთს სახვედრებში შეხვედნენ. ნახევარფინალებში გამარჯვებულები პირველი ადგილისთვის თამაშებენ, დამარცხებულები — მესამისთვის.

ჭაღრაპი


სარუხარი დაბადების დღისთვის

„მორიხევიჩის მოგების დასაწყებად ბოლო ადგილი უნდა ეკავოს“ — თქვა რუსმა კომენტატორმა, როცა ალექსანდრ მორიხევიჩისგან ვინ იცის, მერამდენედ სასტარტო ფიასკოს შემდეგ შედიხედ ორი მოგება იხილა. დორტმუნდის სუპერტურნირის ახლა სხვა აუტსაიდერები ჰყავს და ერთ-ერთი გახლავთ ვიშვანათან ანანდი (!!!), ფიდეს ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე მოჭადრაკე და ასე შემდეგ, რომელიც დორტმუნდში თავს არ ჰყავს. მეტიც, გუმინწინ მორიხევიჩთან თეთრებით 28 სვლამში წააგო.

პირეს, თვითონ უარეს დღეში ჩაცვივდნენ. ინიციატივა საკმაოდ მალე გადავიდა მორიხევიჩის მხარეს, მერე კი ანანდი შეცდა და საჩქაროდ დაეხტა. მე-8 ტურში გარეგნულად ყველაზე ღამაში ვლადი პირ კრანჩიკისა და ვესელინ ტოპალოვის პარტია იყო. ტურნირის ლიდერი მიმყოფს ძირითადად პაიკებით უტყვდა. კრანჩიკმა ჯერ ლაზიერის ფრთის გარღვევა სცადა და ქვეითებს კუც მიაშველა, მაგრამ ტოპალოვმა პოზიციის გამაგრება მოასწრო. მერე თეთრი პაიკები ცენტრიდან დაიძრნენ, მაგრამ კრანჩიკმა ვერც იქ განავრცო იერიში და ბოლოს ყაიმი 42 სვლაში. მაიკლ ადამსი და პეტერ ლეკო უინტერესოდ დაზავდნენ.

დავით გულუა

- ვითარება 6 ტურის შემდეგ
1. კრანჩიკი 4; 2-3. ლეკო, ტოპალოვი 3,5; 4. მორიხევიჩი 3; 5-6. ადამსი, ანანდი 2



ალექსანდრ მორიხევიჩი

მედიკალური კარდიოლოგი
ბია მაზაპრაშვილი
სუ ჯომ აბუხანძირა
სუ ჯომ ჰოშოვათია და ფიტოთერაპია
კვანისა და ფიზიკური რეჰაბილიტაციის კონსულტანტი
(აბრთბირებულება სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
1 სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება
4-თაბიანი არასტანდარტული
ბინა დინამოს სტადიონთან
ქუროდიანზე, მაღალ ბელეტაჟზე
1 (8). საერთო ფართი 180 კვ.მ.
ბუნებრივი აირით,
გამაცხელებლით, აივით,
ტელეფონით, 2 სარდაფით,
2 შესასვლელით,
ავტოსადგომით, აბაზანა, აუზით
კაფეში, სუფთა
მდელოარეობაში, ფასი 35 000\$
ტელ: 99-79-52 მარინა,
78-28-77 ნანა

ფრანგი სირინოზი

აი, სირინოზი, აი, წყლის ჯადოქარი და რაოდენ დასანანია, რომ ფუკუოკას აუზიდან აგრე შთამბეჭდავად ამოზრდილი ფრანგი გოგონა ვირჟინი დედიე გერცხლის მედალს დასჯერდა სინქრონული ცურვის ერთეულთა შეჯიბრში. მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ოლგა ბრუსნიკინა გახდა, მესამე ადგილი კი იაპონელმა მაია ტაჩიბანამ დაიჭირა. ვირჟინი კი მაინც ყველაზე გულში ჩამწვდომი იყო.



REUTERS ფოტოკადანი



REUTERS გრენობლიდან

სუნდინის მილიონები

შვედი პოპეისტი მატს სუნდინი ტორონტოში რჩება. შვიდი სეზონი გასრულდა, რაც ის „მეიბლ ლიფში“ თამაშობს და ახალი კონტრაქტის ამ გუნდთან დადო. ოცდაათი წლის მოთამაშემ მრავალწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ლამის უკვე მშობლიურ გუნდთან და ჯამურად 45 მილიონ დოლარს მიიღებს.

REUTERS ტორონტოდან



თავისი გასჭირვებია


ოჰ, ეს ტურ დე ფრანსი! ამ გაცვეთილი ფრაზით თუ აღვწერთ ტურის მეთერთმეტე, გრენობლიდან შამრუსამდე ვადებულ 32-კილომეტრიან ვზას, ინდივიდუალურ ვარბენს რომ დაეთმო. ზედიზედ მეორე ეტაპი მოივთ დაქოქილმა ბოლო ორი ტურის ჩემპიონმა ლენს არმსტრონგმა „პოსტალის“ გუნდიდან. ამ სურათზე კი დალილიობისგან გამინიჭებულ თხელ სოსება ბელტის ხედავთ, რომელსაც მაგანი ეშმაკად ჩაცმული ბერიკაცი ადევნებია. ბერიკაცი ხარობს, სოსებას კი თავისი გასჭირვებია.

მატყუარა თვალი

იპონურ ფუკუოკაში მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება, მანამდე კი ვარჯიშია გახურებული. დღეს ქალთა ამბავს შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ თვალი მატყუარაა. დიახაც, საბოდიშოთ იერისა იქნება პოლანდიელი ოლიმპიური ჩემპიონი ინგე დე ბრუინი, რომელიც, მართლაც რომ ყველაზე მომგებიანად აღუბეჭდავთ ფოტოზე. მომგებიანად იმიტომ, რომ სინამდვილეში ინგე არცთუ ლამაზი პირისახის გოგოა, ხოლო უკნიდან ერთი ვინმე განუმეორებელი ჩანს. წინიდან რომ შეხედოთ, დარწმუნდებით, რომ პოდიუმამდე შორია. ხოლო თუ მაინცდამაინც სიღამაზეს დაეძებთ მოცურავეთა შორის, აგერ, პირმშვენიერი უნგრელი აგნეს კოჯანი, ისიც ოლიმპიური ჩემპიონი, ბატონო. ასე რომ, თვალი მატყუარაა და რაკურსს გააჩნია.



REUTERS ფოტოკადანი



სარბიელი
საორბული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტიქნიკური რედაქტორი მანანა ბერიძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიასვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაყიძე, ლავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ლავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კვიციანი სტილი-სტეპი მაია აბინაძე, ნათელა ვიორგობანი, ლალი ვოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბ-ლაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოვრაშვილი, კანა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, ლავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-ვიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნიანი
გამომწვევები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge